უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 33

20 14 წ. "25" 11

ქ.თბილისი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206169304) 2014 წლის 30 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.
2. შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 25 ნოემბრის №11 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე

დანართი

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1. ბიზნესის ადმინისტრირება 2. გეოლოგია 3. ინფორმატიკა 4. ინგლისური ფილოლოგია 5. ქართული ფილოლოგია 6. საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია 7. სამართალი 8. მშენებლობა 9. გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება 10.ისტორია	1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრი გეოლოგიაში 3. ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში 4. ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი 5. ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი 6. სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი 7. სამართლის ბაკალავრი 8. ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში 9. ინჟინერიის ბაკალავრი გარემოს ინჟინერიასა და უსაფრთხოებაში 10. ისტორიის ბაკალავრი
მაგისტრატურა	1. ბიზნესის ადმინისტრირება 2. მარკეტინგი 3. საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია 4. სამართალი 5. მენეჯმენტი 6. ფინანსები 7. ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები - ტემპუსის პროგრამა	1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 2. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში 3. საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი 4. სამართლის

		მაგისტრი 5. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში 6. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში 7. სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი
დოქტორანტურა	1. ბიზნესის ადმინისტრირება 2.სამართალი	1. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 2.სამართლის დოქტორი